№9 (9904) ◆ სექტემბერი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

სასწავლო პროცესი განახლდა

15 სექტემბერს ქვეყნის მასშტაბით სასწავლო პოცესი განახლდა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის - 22 საჯარო სკოლაში 1032 მოსწავლისათვის ახალი 2023-2024 სასწავლო წელი დაიწყო. დაიწყო საზეიმო ვითარებაში, ამაღლებული განწყობით და იმ იმედით, რომ იქნება წარმატებული. ეს დღე განსაკუთრებულად შემორჩება იმ 89 პირველკლასელის მეხსიერებას, რომლებიც პირველად მიუჯდნენ მერხებს, სადაც მათ საჩუქრად ელოდათ პორტაბელური კომპიუტერები და სხვა სასწავლო ნივთები.

მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სკოლას აქვს მდიდარი ტრადიციები, ისტორია, მაგრამ წლევანდელი სხვებისაგან მაინც გამორჩეული აღმოჩნდა სოფელ ველევის საჯარო სკოლისათვის. სკოლა 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. შესაბამისად მას საპატიო სტუმრებიც მრავლად ყავდა. ამიტომ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე **ასლან საგანელიძესთან** ერთად რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის **პაპუნა მარგველიძის** მილოცვას თითოეული პედაგოგის, მოსწავლის, სტუდენტისა და სრულიად აკადემიური საზოგადოებისადმი ველევის საჯარო სკოლიდან.

სახელმწიფო რწმუნებულმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლებისა თუ ზოგადად განათლების სფეროს განვითარების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები. სიამაყით აღნიშნა, რომ წელს რეგიონში, კერძოდ ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლაში პირველად ჩატარდა ეროვნული გამოცდები და 130-ზე მეტმა აბიტურიენტმა წარმატებით გაიარა მისაღები გამოცდები. მან სკოლის დირექტორს ქალბატონ **ეკატერინე ჭიჭინაძეს** მიულოცა ღირსეული ჯილდოს – დამსახურებული მასწავლებლის წოდების მიღება და სკოლის კოლექტივთან ერთად წარმატებები უსურვა სამომავლო, პროფესიულ საქმიანობაში (თემის გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ძვირფასო ბავშვებო და პედაგოგებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გისურვებთ, რომ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობიანი და წარმატების მომტანი თითოეული თქვენგანისთვის. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, რომელთათვის დღევანდელი დღე ყველაზე მეტად გამორჩეული და მნიშვნელოვანია.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი ახალგაზრდები ყოველ წელს გამოირჩევიან მიღწეული წარმატებებით და დარწმუნებული ვარ ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ღირსეულ პედაგოგებს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ და თავდაუზოგავად შრომობენ ახალგაზრდა თაობის განათლებისთვის.

ზვიად მხეიძე,
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი

სასწავლო პროცესი განახდა სკოლამდელ დაწესებულებებშიც. ვულოცავთ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების 300 აღსაზრდელს.

თანაღგომა ბევრს ნიშნავს

სამწუხაროდ შოვის ტრაგედიის შემდგომ სტიქიამ პრობლემები გურიაშიც შექმნა და სრულიად საქართველოსთან ერთად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი მხარში დაუდგა დაზარალებულ მოსახლეობას. სახელმწიფო რწმუნებული **პარმენ მარგველიძე**, მოადგილეებთან – **ქრისტინა კობახიძესთან, ალუდა თუთისანთან, ბერდია ჩანქსელიანთან**, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარ დეპუტატთან – **გოჩა ენუქიძესთან**, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან – **ლევან ზალკალიანთან** და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერთან – **გია ონიანთან** ერთად გურიის რეგიონში იმყოფებოდა. და მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ჩართულობით შეგროვებული ჰუმანიტარული ტვირთი პირადად გადასცეს მხარის ადმინისტრაციას, რომელიც საჭიროების მიხედვით მუნიციპალიტეტებში გადანაწილდება.

მხარის რწმუნებულმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების პროცესში ოპერატორიულად მონაწილეობისთვის, გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადა სტიქიის შედეგად, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, გურიის მხარეს და სრულიად საქართველოს.

მიზანი – ბენეფიციართა შეხიდება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში „სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელი ჯგუფის მორიგ სამუშაო შეხვედრაზე კომისიის თავმჯდომარე **თამარ ქევანაშვილმა**, წევრებთან ერთად, განიხილა ბენეფიციართა ის განცხადებები, რომლებიც ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღებას შეეხებოდა.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის – **მარიკა დვალის** განმარტებით, მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 200 ოჯახს გადაეცემა.

კომისიის სხდომაზე განიხილულ იქნა აგრეთვე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე აქტივობები. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება, დახმარება უკვე 50-მდე ოჯახს გაეწია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, 2022 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ახორციელებს პროგრამას, რომელიც მიმართულია ბავშვთა უფლებების დაცვის, ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის, ფიზიკური თუ სოციალური გაძლიერებისთვის. პროგრამის შესაბამისად გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელიც ითვალისწინებს ბავშვისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას.

პროგრამის ფარგლებში, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვებზე (მათ ოჯახებზე), გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან კრიზისულ მდგომარეობას ან შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში ბავშვის საჭიროებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, გაიცემა დახმარება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ოჯახების დაფინანსების შემდეგ, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება ახორციელებს ოჯახების მონიტორინგს დარიცხული თანხის მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით.

ინფორმაცია ინფორმაცია

ამერიკის საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა (ODC) ამბროლაურის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს კომპიუტერული აღჭურვილობა 6 კომპიუტერი და 4 პრინტერი გადასცა.

კომპიუტერული ტექნიკის გადაცემის პროცესს ესწრებოდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე,** მერი **ზვიად მხეიძე**, მოადგილე **თამარ ქევანაშვილი**, ამბროლაურის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერი **ეკა მურუსიძე**.

პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და ხელშეწყობას (კერძოდ, პაციენტების ისტორიების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით არსებობას და შენახვას).

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ორმოცდამერვე (მორიგი) სხდომა, რომელმაც მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ბ. კობახიძის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წლის იანვრიდან სექტემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მერიის საფინანსო სამსახური საქმიანობაში ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის დებულებების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მოხდა შემოსავლებისა და გადასახდელების ბიუჯეტის ელექტრონული მომსახურების ebudget სისტემაში შენახვა თავიდან წლიურ, შემდეგ კვარტალურ ფაილებში (ყველა პროგრამულ კოდზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნება დაყოფილია კვარტალების მიხედვით).

მუნიციპალიტეტის 2023 წლის 8 თვის ბიუჯეტის პარამეტრები ასეთია.

შემოსულობები 13440.5 ათასი ლარი. მათ შორის: 1. გადასახდელები 7725.5 ათასი ლარი. აქედან ქონების გადასახადია 898,4 ათასი ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი 6827.1 ათასი ლარი. 2. გრანტები 4720.6 ათასი ლარი. 3. სხვა შემოსავლები 629.9 ათასი ლარი. 4. არაფინანსური აქტივების კლება 364.5 ათასი ლარი.

გადასახდელებმა შეადგინა 14729 ათასი ლარი. ხარჯებია 7933.2ათასი ლარი. მათ შორის სოციალური უზრუნველყოფაა 466.2 ათასი ლარი.

სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა.

კონფერენცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა ამ დღეებში საქართველოს რესპირაციული ასოციაციის 44-ე რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროფილის ექიმები, სამედიცინო კომპანიები და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები.

სამედიცინო კონფერენცია გახსნეს საქართველოს რესპირაციული ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ვახტანგ ქაცარავამ და ასოციაციის რეგიონულმა ხელმძღვანელმა სოსო კუჭავამ.

კონფერენციის სტუმრებმა მოისმინეს მოხსენებები რესპირაციული დაავადებებისა და მწვავე ვირუსული ინფექციების შესახებ.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მარიკა დვალი, ისაუბრა ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში არსებულ პროგრამებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე. მან მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს და აღნიშნა რომ მსგავსი კონფერენციები ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომებით ცოდნისა და იდეების გაცვლას.



დასრულების ეტაპზეა ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოს გალავნისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. პროექტი დაფინანსებულია რეგიონების განვითარების ფონდის მიერ და მისი ჯამური ღირებულება 368 204. 82 ლარს შეადგენს. განახლებული ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობილი სივრცე შესაძლებლობას მისცემს მომლოცველებს და ტურისტებს დატკბენ, როგორც ტაძრის სიდიადით ისე უნიკალური ხედებით.

არქივი - ქვეყნის მეხსიერება

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ ქვეყნის დღის წესრიგში დადგა საარქივო მასალების თავმოყრის აუცილებლობის საკითხი, რაზედაც ამავე წლის ივნისში დაიწყო კიდეც არქივების ორგანიზებისა და საარქივო ფონდების შესახებ მუშაობა.

არქივის შექმნის საჭიროებასა და მნიშვნელობას განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს 1920 წლის 12იანვარს საქართველოს დემოკრატიული მთავრობისადმი მიმართულ წერილში ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი ექვთიმე თაყაიშვლი.

1920 წლის 23 აპრილს მიღებული კანონით საქართველოში დაარსდა პირველი საარქივო დაწესებულება – ცენტრალური სამეცნიერო არქივი. ე.ი. საქართველოს ეროვნული არქივი, სადაც ინახება ჩვენი ქვეყნის მეხსიერება.

არქივის სისტემაში 4-ცენტრალური არქივია წარმოდგენილი: საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტებისა და ქუთაისის ცენტრალური არქივები.

ეროვნულ არქივში დაცული მასალა მოიცავს საქართველოს ისტორიის დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთს და მსოფლიო ისტორიის ფართო გეოგრაფიულ არეალს.

საქართველოს ეროვნული არქივის საცავებში ინახება ეტრატისა და ქაღალდის ისტორიული საბუთები, ხელით გადაწერილი, მანქანაზე ნაბეჭდი თუ თანამედროვე ელექტრონული დოკუმენტები, სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის კოლექციები, პირადი არქივები, მმართველობითი ფონდები, ფოტოები, ნახატები, ნახაზები, რუკები, აფიშები. მემორიალური ნივთები.

საქართველოს ეროვნული არქივში IX-XIX საუკუნეების 1000- ზე მეტი ხელნაწერი ინახება, ისტორიული საბუთების დედნების კოლექციაში XI-XIX საუკუნეების 10 000-ზე მეტი დოკუმენტია გაერთიანებული, უძველესი ფოტოები კი 1858 წლით თარიღდება, ფოტოგრაფ ალექსანდრე ივანიცკის ალბომში თბილისისა და მცხეთის ფოტოებია შენახული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა და ქართულმა გენეალოგიურმა საზოგადოებამ დაიწყეს ერთობლივი პროექტი, რომელიც სხვადასხვა არქივში, მათ შორის საქართველოს ეროვნულ საარქივო ფონდში დაცული დოკუმენტების საფუძველზე ქართული გვარების გენეალოგიის შედგენას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში მომზადდება გამოცემათა სერია.

ცნობილი გენეალოგი, ქართული გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებელი, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი იური ჩიქოვანი ამ ეტაპზე იკვლევს ქართლის ხუთი გვარის – ამირეჯიბების, თარხან-მოურავების, ფალავანდიშვილების, მაღალაშვილების და თაქთაქიშვილების გენეალოგიას. გამოცემაში შესულ იქნება, აგრეთვე, მოკლე ცნობები ამ გვარების წარმომადგენელთა ცხოვრებასა და საქმიანობის შესახებ, რომელიც კომენტარების სახით დაერთვება გენეალოგიურ ნუსხას.

გამოცემაში გენეალოგიურ სქემებსა და კომენტარებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება ისტორიული მიმოხილვა ზემოთ ჩამოთვლილი გვარების შესახებ, ბიბლიოგრაფია და ანბანური საძიებელი, ასევე, ეროვნული არქივის კინოფოტოფონო არქივში დაცული, დასახელებული გვარების ცნობილი წარმომადგენლების ფოტოები.

არქივში დოკუმენტების შენახვა და დაცვა ხდება სრული წესების დაცვით. არის ტიპიური შენობები და ეტაპობრივად ხდება თითოეულ საქმეზე იმ პროცესების ჩატარება, რომელიც საჭიროა მის სრულად შენარჩუნებაზე.

საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება ჩვენი კუთხის – რაჭის უმნიშვნელოვანესი ფოტოები, რომელთა ხილვის შესაძლებლობა მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს მიეცა რამოდენიმე წლის წინ ქ. ამბროლაურში გამართულ გამოფენაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სურათები და 6 წუთიანი ფირი აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა საჩუქრად დატოვა ჩვენს რეგიონში.

ამბროლაურის არქივი ამჟამად გადატანილია ქუთაისის ცენტრალურ არქივში. დღეის მდგომარეობით გვაქვს მმართველობითი 119-ზე მეტი ფონდი, პირადი შემადგენლობის 106-ზე მეტი. ბუნებრივია ყოველწლიურად ხდება არქივის შევსება. ადგილზე მისვლით ორგანიზაციებში შემოწმების შედეგები, საარქივო საქმის წარმოებაზე, საბუთების შენახვასა და დაცვაზე, მიეწოდება საქართველოს ეროვნულ არქივის შესაბამის განყოფილებას ოქტომბრის დასაწყისში.

გაგრძელება მე–4 გვ.

სასწავლო წელი განახლდა

დაწესდა მასწავლებლის ეროვნული დღე

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საზოგადოებაში პედაგოგების როლის ხაზგასმის, მათი დაფასებისა და პროფესიის მნიშვნელობის ამაღლების მიზნით დაწესდა **მასწავლებლის ეროვნული დღე**.

ამიერიდან იგი აღინიშნება ყოველი წლის **27 ოქტომბერს**, ქართველი პედაგოგის, ქვეყანაში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** დაბადების დღეს.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ქვეყნის მასშტაბით წარჩინებულ მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად საჩუქრად პორტაბელური კომპიუტერები გადაეცათ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან ეს ძვირფასი საჩუქარი დაიმსახურეს სადმელისა და ქალაქის მე-2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა: **ბარბარე ჯოხაძემ, ანი რატიანმა, მარიამ მამფორიამ** (სადმელი), **ელენე არჩვაძემ, გვანცა გველეთიანმა** და **კესო მეტონიძემ** (მეორე სკოლა). მათ უმაღლესი შეფასებით დაძლიეს საბაზო საფეხური.

წარჩინებულ მოსწავლეებს, ამბროლაურის საგანმანთლებლო რესურსცენტრში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ – **ქრისტინა კობახიძემ**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან – **ასლან საგანელიძესთან** და რესურსცენტრის თანამშრომლებთან ერთად გადასცათ პორტაბელური კომპიუტერები. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სახელით მიულოცათ მიღწეული წარმატები, მხარის მოსწავლეებთან ერთად უსურვათ წინსვლა და დასახული მიზნების ასრულება.

მაგალითი

იზო ჯოხაძე იმ პედაგოგთა პლეადას მიეკუთვნება, რომლისთვისაც პროფესია მოწოდებაა, მოსწავლე ბიოლოგიურ შვილთან გათანაბრებული. ათეული წლები ემსახურა ამ მეტად დასაფასებელ და საპატიო პროფესიას. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ინოვაციური მეთოდების დანერგვის პიონერს რეგალიები არ მოკლებია.

დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ ფიქრებით ისევ სკოლასთანაა და რაოდენ ბედნიერი იყო, როცა მას – ამბროლაურის საპატიო მოქალაქეს, შინ ესტუმრნენ და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ახალგაზრდა კოლეგებმა – ეთერ ნატმელაძემ, იზო ჩაჩანიძემ, ნანა ჯანელიძემ და ნინო ვაწაძემ. თანამშრომლობის პერიოდიდან მოგონებებით, განათლების სფეროსთან დაკავშირებულ თემებთან საუბრით ორივე მხარემ ლამაზი წუთები აჩუქეს ერთმანეთს. ამით ქალაქის პირველი საჯარო სკოლის ამ პედაგოგებმა მისაბაძი მაგალითი უჩვენეს სხვა სკოლებსაც, რომ უფროს თაობას დაფასება, მოკითხვა უნდა და მათგან კიდევ ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

ველევის სკოლის ისტორიის ერთი ლამაზი ფურცელი

მივარღვევთ აწმყოს, უკან გვდევს წარსული, მოგონებათა კორიანტელში წერტილ-წერტილ გაბნეული სასიამოვნო გამონათებებით. ცხოვრება თავისთავად არ გალამაზდება, სილამაზე შენ უნდა შექმნა. სწორედ ერთფეროვანი ყოფაში განსხვავებულობის შეტანას შევეცადეთ სოფელ ველევის საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დაწყება სკოლის დაარსების 150 წლისთავის აღნიშვნით.

ის დღე წარსულისათვის მივიწყების ფერფლის შემოცლა, ლამაზი მოგონებების კოცონად აგიზგიზება, ღვაწლმოსილი ადამიანების გახსენების და ამაგის დაფასების იყო. სკოლის იუბილე მხოლოდ აღინიშნა, რადგან საზეიმო განწყობა არც ბუნებისაგან მოყენებული ტკივილის გამო გვქონდა და არც თემში შექმნილი სიტუაციის გამო. ბუნებამ კიდევ ერთხელ და საკმაოდ მკაცრად შეგვახსენა, რომ მბრძანებელი თვითონ არის, ჩვენ კი მის წიაღში შობილი ჩვეულებრივი არსებები ვართ და დაუდევრობასა და ზედმეტს არ გვაპატიებს. წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ბუნების ტრაგედიის მსხვერპლთ!

მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის. ჩვენც მივყვებით მძიმე ტვირთითა და ტკივილით. მიუხედავად იმისა რომ ინფრასტრუქტურა ვითარდება: ელექტრო ენერგია მუდმივად არის, წყალი ასე თუ ისე ყველა ოჯახშია, ვსარგებლობთ ტექნიკის მიღწევებით, არის ღამის განათება, ყველა უბანსა და ყველა ჩიხში დგას ნაგვის ურნები, გვაქვს სპორტული მოედანი, მიმდინარეობს სამების სახელობის ეკლესიის აღდგენა, იგება თანამედროვე სტანდარტების ბეტონის გზა, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მაინც რთული მდგომარეობაა: დაცლილი სოფლები და 2 ბავშვი სკოლაში!

მაგრამ სკოლა 150 წლისაა, 1873 წელს გახსნილა. ზუსტი თარიღის დადგენაში დამეხმარა ჩვენს სკოლაში 1984-1989 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ისტორიის მასწავლებლად მოვლინებული ამჟამად კი ხობის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტის გოგიტა ჩიტაიას მიერ მოწოდებული მასალა: გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის 166-ე ნომრის მიხედვით, ერთკლასიანი სკოლები ყოფილა რაჭის შემდეგ სოფლებში: ნიკორწმინდაში, ხოტევში, ველევში, ამბროლაურში, სხვავაში, აბარში, ღებში, წესში, სადმელში, ზნაკვაში, ბუგეულში, ხვანჭკარასა და ბაჯში.

არ შეიძლება დავიწყების ბინდს დავანებოთ ის ადამიანები, ვინც საუკუნე-ნახევრის წინ და კიდევ იქით დაინახა განათლების სიკეთე და იფიქრა თავის კუთხეში ამ სიკეთის შემოტანასა და დანერგვაზე. ნამდვილად დასაფასებელია ამ საქმისათვის დახარჯულთა ღვაწლი. უფროსი თაობის ადამიანების გადმოცემით ქრისტეფორე კვიტაშვილს მიუძღვის დიდი წვლილი ამ საქმეში. ის დიდად მიღებული კაცი ყოფილა მთავრობაში. მას ბევრი უშრომია, რომ ველევში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლა გახსნილიყო. მთავრობაში საქმის მოგვარების შემდეგ, როცა სკოლის შენობისათვის ადგილის გამოყოფა დამდგარა დღის წესრიგში, მას თავისი მიწის ნაკვეთი, ტბელაური, მიუცია სოფლისათვის, მისივე ხელმძღვანელობით კი მოსახლეობას საკუთარი ძალებით ხის დათლილი მორებისაგან ოროთახიანი შენობა აუგია. ამ სკოლას „ჯარგვალა სკოლის“ სახელით იხსენიებდნენ ძველები, პირველი მასწავლებელი პეტრე მესხი ყოფილა კვირიკეწმინდიდან, რომელსაც „პეტრე უჩიტელის“ სახელით იხსენებდნენ უხუცესები; შემდგომ შვიდწლიანი სკოლის გახსნაზეც ქრისტეფორე კვიტაშვილის შთამომავალს, კერძოდ, გიორგი კვიტაშვილს, გამოუჩენია ინიციატივა, კვიტაშვილების კუთვნილი ადგილი, რომელსაც სასახლის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ ძველები, გამოუყვია სოფლისათვის და დამოუკიდებელი საქართველოს დროს გახსნილა არასრული სკოლა, კლასების ნაწილი საკუთარ სახლში განუთავსებია, ნაწილი კი შეძლებული გლეხების ოჯახებში განთავსებულა სკოლის სათანადო ტევადობის შენობის აგებამდე. საბჭოთა პერიოდში კი ქვის შენობა აგებულა. ბერძნები მუშაობდნენო, საკვებით სოფელი უზრუნველყოფდა მორიგეობით. სახურავად სოფელში არსებული სამების სახელობის ეკლესიის თუნუქის სახურავი გამოუყენებიათ.

ეკლესიისათვის სახურავის ახდის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ბესო გორგიაშვილი. იგი თურმე თოფით დარაჯობდა სალოცავს და მისი შიშით ვერავინ ბედავდა ეკლესიისათვის ხელის ხლებას, მაგრამ აქტივისტ კომკავშირლებს, სოფლის მაშინდელი მესვეურების ხელშეწყობით, მაინც მოუხერხებიათ განზრახვის სისრულეში მოყვანა: შენს სათიბებს ჯოგი შესევიაო საწალ იკეზე და სათიბების მისახედად გაუტყუებიათ მთაში. იქ ასული კი მიმხვდარა

ოინს და მაშინვე დაბრუნებულა, მაგრამ ეკლესია უკვე სახურავახდილი დახვედრია. რაღას იზამდა, მხოლოდ ეს უთქვამს: თუ თქვენ მაგ მასალა გამოგადგეთ, მე ძაღლი დამიკალითო.

მართლაც, რთული გზა განვლო ველევის სკოლამ, ერთხელ დიდთოვლობისას ჩანგრეულა, ორჯერ კი დამწვარა. პირველად 30-იან წლებში, რასაც ემსხვერპლა შვიდწლიანი სკოლის პირველი დირექტორი პანტელეიმონ მაცაბერიძე, იგი ციმბირში გადაუსახლებიათ, მეუღლემ მუდმივი შიშის ქვეშ გაზარდა 3 ბავშვი; მეორედ – 1970 წელს. ხანძრისგან ყველაფერი განადგურებულა, თუნუქი სულ დამდნარა, ახდა ბესო გორგიაშვილის ნათქვამი. მაგრამ, როცა შენობა აღუდგენიათ, შენობისთვის სარტყელი მოუვლიათ. რომ არა ის სარტყელი, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის დროს ვერავინ გამოვასწრებდით შენობიდან, რადგან კედელი ორ მხარეს ჩამოინგრა, სახურავი კი სარტყელზე დარჩა გაკიდებული. ვფიქრობ, სალოცავის მადლმა დაიცვა შთამომავლობა უბედურებისაგან.

სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: დისიონ ჭიჭინაძე თლუღიდან, ქრისტეფორე დოხნაძე ნიკორწმინდიდან, აგრაფინა სირაძე შხივანიდან, გრიგოლ კაციტაძე ხოტევიდან, ვასილ ენუქიძე წკადისიდან, იოსებ გოგსაძე ველევიდან. 1981 წლიდან კი მე გახლავართ სკოლის დირექტორი.

15 სექტემბერს, სასწავლო წლის პირველ დღეს, სოფელში სკოლის დაარსებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით, მოვიწვიეთ ქრისტეფორე და გიორგი კვიტაშვილების შთამომავალი დავით კვიტაშვილი, მან წინაპართა სურათები უსახსოვრა სკოლას, აგრეთვე პირველი დირექტორის ქალიშვილი ციცო მაცაბერიძე და სკოლის კურსდამთავრებულები. სკოლაში გავიხსენეთ ყველა ის ადამიანი, ვინც ამაგი დასდო ველევის სკოლას ქრისტეფორე კვიტაშვილიდან დაწყებული დღემდე: ქალბატონი ირინა გოცირიძე, რომელიც ძალიან დაგვეხმარა მიწისძვრის შედეგად დანგრეული სკოლის შენობის აღდგენისათვის ბრძოლაში ბიუროკრატიული ბარიერის დაძლევის საქმეში და ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, თვითონ პენსიონერი, სკოლას უგზავნიდა საკანცელარიო ნივთებს, მოსწავლეებს სასწავლო ნივთებთან ერთად სახელმძღვანელოებს, მძიმე 90-იანი წლები მან გადაგვატანინა მატერიალური და მორალური მხარში დგომით; ბატონი თამაზ ვაშაძე, მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამშენებლო საქმიანობის ხელმძღვანელი რაჭაში, რომლის მხარდაჭერითა და სოფლის მაშინდელი ხელმძღვანელის იოსებ გოგსაძისა და ჩემი მცდელობითა, აგრეთვე ამბროლაურის პრეფექტის ბატონ გოჩა ბიჭაშვილის მხარდაჭერით, იმავე წელს მოხერხდა ახალ შენობაში შემოსვლა; ბატონი ალეკო გოცირიძე, რომელიც იყო სკოლის შეფი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და აგვიგო მოსული მასწავლებლებისათვის სკოლის სასწავლოსაცდელ ნაკვეთის ტერიტორიაზე ოროთახიანი მასწავლებელთა სახლი.

ყოველი სასწავლო წლის დაწყებას გვილამაზებს თემის მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგსაძე ველევის თემში ამბროლაურის მერის წარმომადგენელ გრიგოლ ჩიხრაძესთან ერთად; რამდენჯერმე დაგვიფინანსა სასწავლო ექსკურსია საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა გოჩა ენუქიძემ, ბატონები გოჩა მაცაბერიძე და იური ჩიხრაძე ჩვენს მოსწავლეებს სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფენ, ისინი ჭეშმარიტი აღმსრულებლები არიან სახარებისეული წმინდა მცნების: მოგეცეს და მოგეთხოვოსო. ღმერთმა ბევრი მისცეთ!

ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი, ქალბატონი დალი დარახველიძე ყოველ ახალ წელს ულოცავს ჩვენს მოსწავლეებსა და ჩვენი, როგორც მთიანი სოფლის სკოლის მაჯისცემაზე მოყურადებულია და გვამხნევებს გაზეთის ფურცლებზე გაშუქებული ჩვენი საქმიანობის ამსახველი ამბებით.

სასკოლო საზოგადოების სახელით მადლობა მათ მხარში დგომისა და გამხნევებისათვის!

მადლობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულს – **პაპუნა მარგველიძეს**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს – ბატონ **ასლან საგანელიძეს**, ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ბატონ **კახაბერ რეხვიაშვილს** თანამშრომლებთან ერთად მობრძანებისათვის, თანადგომისა და ჩვენი ერთფეროვანი ყოფაში განსხვავებულობის შემოტანის მცდელობის მხარდაჭერისა და სკოლის 150 წლის იუბილეს მოლოცვისათვის.

მადლობა ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა და ველევის სკოლის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაგვაწერინა.

ეკატერინე ჭიჭინაძე,
სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

P.S. გოგიტა ჩიტაიას ახლახან მოპოვებული და ჩვენთვის გადმოცემული ინფორმაციით, პეტრე მესხზე ადრე მასწავლებლად იასონ კიკვაძე ყოფილა. მას ასეთი ინფორმაცია მოუპოვებია: „მასწავლებელ იასონ კიკვაძის მიერ წერ-კითხვის საზოგადოებისათვის გაგზავნილი ცნობით, 1881 წლის 30 ნოემბრისათვის სოფელ ველევის სკოლაში სწავლობდა მხოლოდ ათი მოსწავლე, მათგან ღარიბი იყო ხუთი, იასონ კიკვაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანს გრიგოლ ყიფშიძეს აცნობა, რომ წიგნები და სასწავლო ნივთები ღარიბი მოსწავლეებისათვის უფასოდ დასარიგებლად ერთხელაც არ მიუღიათ.“ ციტირება: ქმნკ გამავრცელებელი საზოგადოების მონაცემთა ბაზა (ტბილისი, 2017); როგორც ჩანს სოფლის უხუცესთა მახსოვრობა პეტრე მესხის იქით არ მიდის.

ჭიდაობა

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ეროვნულ ინტერესს ჩვენი კუთხის ოთხი წარმომადგენელიც იცავდა. მათგან სამი ამბროლაურის საჭიდაო კლუბის „ფალავანი“ აღზრდილი, რომელთაგან **ვლადიმერ გამყრელიძე** (79 კილორამი წონითი კატეგორია) ვერცხლის მედლითა და ვიცე ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა სამშობლოში. მას გულშემატკივრებმა მშობლიურ ქალაქში განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს.

ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე,** მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, მერის მოადგილე **დავით გოგლიძე** ესწრებოდნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებულ სპორტსმენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტისგან მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცა. მადლობის სიგელი გადაეცა აგრეთვე მის მწვრთნელს – **ლევან ბარსონიძეს**, რომელმაც არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღუზარდა ქვეყანას.

* * *

დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებით ნამდვილად ამოისუნთქა სოციალურად დაუცველთა ბევრმა ოჯახმა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 400-ზე მეტი მოსარგებლეა. მათი უმეტესება სწორად ათვითცნობიერებს პროგრამის დანიშნულებას და კეთილსინდისიერადაც ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დავალებამოვალეობას. მათ შორის ჯვარისაში დასაქმებულ მოსარგებლეთა ნაწილიცაა, რომლებიც ამ ფოტოზე სასოფლო გზის გაწმენდის პროცესში ავღბეჭდეთ, მაგრამ გაგვიკვირდა, რომ სამუშაოს ოჯახებიდან გამოტანილი ირაღებით ასრულებდნენ და ელემენტარულად მათთვის ხელთათმანებიც კი არავის შეუთავაზებია.

არადა ვიცით, რომ დასაქმების სააგენტო საჭიროებების კუთხით ხშირად სვამს კითხვებს. იქნებ დროა ვისაც ხელეწიფება მიხედოს ამ საქმეს და იმასაც, რომ ვინც მუშაობს მას არ დააკლდეს ანაზღაურება, ხოლო ვინც თაღლითობს მან სრულად ვერ მიიღოს. სამწუხაროდ არის ამის ფაქტები.



კარგი ინფორმაცია მოგვაწოდეს ჩვენებურებმა ესპანეთიდან და ჩვენც სიამოვნებით ვაუწყებთ მკითხველს, რომ ესპანეთის ქალაქ ოურენსში, **მონტერეის ისტორიულ ციხესიმაგრეში** გუდასტვირის შემსრულებელთა 38-ე საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომლის ფარგლებში ქედის კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა – ოსტატ-შემსრულებელმა მურად თავართქილაძემ და ეთნომუსიკოლოგმა, ანსამბლ „იაგუნდის“ ხელმძღვანელმა ლოლიტა სურმანიძემ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ჭიბონის და გუდასტვირის მრავალფეროვანი რეპერტუარი, ქართული ტრადიციული გუდასტვირების შესახებ პრეზენტაცია წარადგინეს. ფესტივალის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე ვიზიტი გუდასტვირის შემსრულებელთა სახელმწიფო სკოლასა და მუზეუმში, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გუდასტვირია წარმოდგენილი. მუზეუმის მდიდარ კოლექციას უკვე ქართული ტრადიციული გუდასტვირი და ჭიბონიც შეემატა. გუდასტვირი დამზადებულია რაჭის რეგიონის კულტურის ცენტრის თანამშრომლის, ბატონ ჯანო გაგოშიძის მიერ, ხოლო, ჭიბონი დაამზადა და წარადგინა კიდეც ბატონმა მურად თავართქილაძემ. ფესტივალზე მიწვეული იყო ბატონი ჯანოც, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შესძლო გამგზავრება. დღეს მხოლოდ მუზეუმიდან წარმოდგენილი ფოტოებით შემოვიფარგლებით, ხოლო მასთან ინტერვიუს მკითხველს უახლოესი ნომრით შევთავაზებთ.

ვულოცავთ და ვუსურვებთ მეტ შემოქმედებით წარმატებებს!



არქივი - ქვეყნის მეხსიერება

დასასრული

გულსატკენია, როცა ვხვდებით ზოგიერთი ადამიანის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს დოკუმენტებთან ურთიერთობასა და შექმნილი დოკუმენტების შენახვა-მოვლასთან დაკავშირებით.

შევახსენებთ ნებისმიერ მოქალაქეს, რომ დოკუმენტის შენახვაა საქმე თორემ განადგურება იოლი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თითოეულ ფურცელს ფასეული და ზოგ შემთხვევაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს მომავალში. ვინც ამ საკითხს სწორად ხედავს, ვინც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალური ადამიანების ისე ორგანიზაციების ისტორიის შექმნას დიდი მადლობა და პატივისცემა მათ. ასეთი დიდი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონი **ნანული ქვათაძე**, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ამბროლაურის ცენტრალური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში, სადაც იქმნებოდა სიმართლის წიგნები 1964-2013 წლებში (გარდა 1969 წელი). საავადმყოფოს რეორგანიზაციისა და ახალი საავადმყოფოს აშენების პროცესში შესაძლებელი იყო ეს წიგნები განადგურებულიყო. ამ ქალბატონმა ეს ძალზედ საჭირო დოკუმენტაცია შეინახა, რადგან იცოდა რაოდენ აუცილებელი და საჭირო იყო თითოეული ბავშვის დაბადების ჩანაწერი. და ამ სიმართლის წიგნებით ხდება საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ზუსტი დაბადების თარიღის დადგენა, სამოქალაქო რეესტრის თანამშრომლებისათვის დაბადების ჩანაწერების გაცემა. ჩვენ წამოვიღეთ ეს წიგნები დავამუშავეთ და გადაცემულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში, დიდი მადლობა მას ასეთი მეტად საჭირო დოკუმენტების შენახვისათვის. მადლობა მათ ვინც ზრუნავს თითეულ შექმნილი ფურცლის, სურათის, ნახატის, ნახაზის და სხვა დოკუმენტის შენახვასა და დაცვაზე.

კვლავ მოგმართავთ ყველა მოქალაქეს, ორგანიზაციას, შესაძლებელია თქვენთან ადგილზე იყოს რაიმე ისტორიის მქონე სურათი ან ძველი ჩანაწერი, რომელიც მნიშვნელოვანია და მოიცავს სოფლის, ადგილის ან სახლის ისტორიას. შეგვეხმიანეთ ამბროლაურის ადგილობრივი წარმომადგენლობას იუსტიციის სახლში.

ამბროლაურის ადგილობრივი წარმომადგენლობა კვლავ იზრუნებს საქართველოს ეროვნულ არქივის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების დოკუმენტების მოძიებასა და არქივში დამუშავებული ფორმით ჩაბარებაზე, რათა მომავალ თაობას ექნეს ნათელი წარმოდგენა ზოგიერთი ისტორიული მნიშვნელობის საკითხებზე.

მანანა ბაკურაძე,
საქართველოს ეროვნული არქივის ამბროლაურის ადგილობრივი წარმომადგენელი

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყიფაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.